

ხელშეკრულებაზე უარის თქმისა და შესრულებაზე უარის თქმის უფლებების, როგორც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილად ცნობა

ქეთევან ზაქარეიშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვა: ბათილობა, შედეგი, ბალანსი

შესავალი

სამოქალაქო სამართლებრივ პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც განსაზღვრა იმისა, თუ სად გადის ზღვარი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობასა და ინდივიდუალურად შეთანხმებულ პირობას შორის, საკმაოდ რთულია და დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემულია მთელი რიგი რეგულაციები, რომლებიც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს აღნიშნულ საკითხთა გამიჯვნას. აღნიშნული სხვა მრავალ ასპექტთან ერთად აისახება ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისა და ინდივიდუალურად შეთანხმებული პირობების ბათილობის საკითხებზეც.

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების დებულებებით ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობა და შესრულებაზე უარის თქმის უფლება მოქმედი კანონმდებლობით მიიჩნევა ბათილად, თუ შეტანილია ხელშეკრულებაში შემთავაზებლის მიერ. თუმცა მიმღების დაცვის უზრუნველსაყოფად კანონმდებელს

განსხვავებული მიდგომა აქვს, რაც ყველაზე კარგად ჩანს გერმანიის სამოქალაქო კოდექსში. კერძოდ, 308-ე პარაგრაფი ადგენს იმ აკრძალული დათქმების ჩამონათვალს, რომელთა სამართლებრივი ძალა დამოკიდებულია შეფასებაზე, მათ შორის „ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობა.“ 309-ე პარაგრაფი კი განსაზღვრავს იმ აკრძალულ დებულებებს, მათ შორის „შესრულებაზე უარის თქმის უფლება,“ რომლებიც არ ექვემდებარება შეფასებას და უპირობოდ ბათილია. შესაბამისად, მიუხედავად შესაძლო შინაარსობრივი მსგავსებისა, კანონმდებლის გადაწყვეტა, განსხვავებულად მიუდგეს ზემოთ ხსენებული დებულებების ბათილობის საკითხების მოწესრიგებას, უდავოდ აუცილებელია, რადგან ხელშეკრულებაზე უარის თქმის – ხელშეკრულებიდან გასვლის და ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის – ხელშეკრულების შეწყვეტა/მოშლის სამართლებრივი შედეგი რადიკალურად განსხვავდება.

ხელშეკრულებიდან გასვლა ყოველთვის ნეგატიურია, ხორციელდება ერთ-ერთი მხარის ცალმხრივი ნების გამოვლენის შედეგად, მაშინ, როცა ხელშეკრულების მოშლა ხორციელდება როგორც ცალმხრივი ნების გამოვლენის, ისე მხარეთა შეთანხმების შედეგადაც. ხელშეკრულებიდან გასვლა გამოიყენება ორმხრივი მოკლევადიანი სახელშეკრულებო ურთიერთობის ანულირებისთვის,¹ რომელიც არ არის დაკავშირებული მომავალში პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებებთან. გრძელვადიანი ურთიერთობების მიმართ კი გამოიყენება ხელშეკრულების მოშლა, რომელსაც ხელშეკრულებიდან გასვლის ფუნქციაც აკისრია, თუკი მოვალე არ ასრულებს თავის მოვალეობას, მაგ-

რამ ეს არ იწვევს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას და მოშლამდე განხორციელებული შესრულების უკან დაბრუნების ვალდებულების წარმოქმნას. ხოლო ხელშეკრულებიდან გასვლა – უარი ხელშეკრულებაზე- იწვევს ორმხრივ რესტიტუციას. კერძოდ, მხარეები თავისუფლდებიან ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან და წარმოქმნებათ ახალი ვალდებულება – ერთმანეთს დაუბრუნონ უკვე განხორციელებული შესრულება. შესაბამისად, ხელშეკრულების მოშლას ეფექტი აქვს მხოლოდ მომავალში შესასრულებელი ვალდებულებების მიმართ. ე.ი. მას ხელშეკრულების გასვლისგან განსხვავებით უკუძალა არ გააჩნია.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების მოშლისგან განსხვავებით ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება ვერ განხორციელდება, თუ არ არის სახეზე ვალდებულების დარღვევა. გრძელვადიანი ხელშეკრულების მოშლისთვის კი ვალდებულების დარღვევა არ არის ერთადერთი წინაპირობა. აღნიშნული ხელშეკრულების მოშლისა და ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი რეჟიმის კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანია.

რაც შეეხება საერთაშორისო მოწესრიგებას, მაგალითად, ევროპულ სახელშეკრულებო სამართალში² მკაცრად გავლენიანი ზღვარი ხელშეკრულებიდან გასვლას, რომლის შემდეგაც მხარეებს უნდა აღუდგეთ წინანდელი მდგომარეობა და ხელშეკრულების შეწყვეტას შორის, როდესაც მხარეები ყველა მომდევნო ვალდებულებისგან თავისუფლდებიან, არ არსებობს. შესაბამისად, შეწყვეტა ორივე მხარეს ათავისუფლებს მომავალი ვალდებულებებისგან და ამასთან, იგი არ ეხება იმ შესრულებას, რომელიც განხორციელდა ხელშეკრულების შეწყვეტამდე.

1 იხ. ასევე გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 308-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილი: „პირობა, რომლითაც შემთავაზებელს აქვს უფლება, გაითავისუფლოს თავი ვალდებულებებისგან ობიექტურად გამართლებული და ხელშეკრულებაში მითითებული საფუძვლის გარეშე; ეს წესი არ მოქმედებს გრძელვადიან ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებზე.“

2 ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, თარგმანი (დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2014 წ.) მუხლი 9:305 – ხელშეკრულების შეწყვეტის ზოგადი შედეგები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ხელშეკრულებასა და ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებები, მიუხედავად მსგავსებისა, განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს იწვევს. სწორედ ამიტომაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობის მომწესრიგებელ მუხლებში რეგულაციები სიმძიმის მიხედვით განაწილებული. თუმცა, ფაქტია, რომ ორივე დებულება ნეგატიური ხასიათისაა და იმ ერთი საერთო შედეგის გამომწვევი, რომელიც დაკავშირებულია ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტასთან.

1. შემთავაზების უფლების – გაუმართლებლად უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე – ბათილად ცნობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347-ე მუხლის „გ“ პუნქტი ადგენს, რომ ბათილია დებულება, რომელიც შემთავაზებელს უფლებას აძლევს გაუმართლებლად და ხელშეკრულებაში მითითებული საფუძვლის გარეშე უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე. ეს დანაწესი იდენტურია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 308-ე პარაგრაფის მე-3 ნაწილისა „ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობა“ და განსაზღვრავს, რომ შემთავაზებელს ეკრძალება გაუმართლებლად და ხელშეკრულებაში განსაზღვრული საფუძვლის გარეშე უარი თქვას ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. საინტერესოა საკითხი, თუ როგორია აღნიშნული დებულების მიმართება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლთან, რომელიც განსაზღვრავს, რომ „იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია, ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული

იყო, თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა“. ამ უკანასკნელისთვის მთავარი განმსაზღვრელი გარემოება, მართალია, ვალდებულებათა შესრულების ერთდროულობაა, თუმცა პრაქტიკაში ხშირად, ურთიერთობათა ხასიათიდან გამომდინარე, შეუძლებელია შესრულების ერთდროულობა. შესაბამისად, ჩნდება ლოგიკური კითხვა: შემთავაზებლის მხრიდან საკუთარი თავისთვის მიცემულ უფლებაზე – უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე – გავრცელდება ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მომწესრიგებელი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347-ე მუხლის დებულება თუ ზემოთ ხსენებული 369-ე მუხლი?

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების³ „უნიდროას“ მიდგომა. კერძოდ, 7.1.3-ე მუხლი ადგენს, რომ თუკი მხარეებმა თავიანთი ვალდებულებები უნდა შეასრულონ ერთდროულად, ნებისმიერ მათგანს შეუძლია შეაჩეროს შესრულება მანამ, სანამ მეორე მხარე არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ან არ შესთავაზებს შესრულებას.⁴ ამდენად, ორმხრივი ხელშეკრულებაში მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ რომელმა მხარემ უნდა შეასრულოს ვალდებულება პირველმა. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს ზოგად წესს იმ შემთხვევისათვის, როცა მხარეებს საკითხი შეთანხმებით არ მოუწესრიგებიათ. კერძოდ, თუკი ერთი მხარისთვის ვალდებულების შესასრულებლად საჭიროა გარკვეული დრო, მაშინ მან ვალდებულება პირველმა უნდა შეასრულოს, თუკი გარემოებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.⁵

3 ხელმისაწვდომია: <http://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010>

4 ძლიერიშვილი ზ., 2014. სახელშეკრულებო სამართალი. სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი გვ. 427. ციტირებულია: “Principles of International Commercial Contracts, Rom, 1994. Uniform Law review, 2004

5 ძლიერიშვილი ზ., 2014. სახელშეკრულებო სამართალი. სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი

ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რომ რადგან საუბარი გვაქვს სტანდარტულ პირობებზე, ამიტომ ურთერთობაც მხარეებს შორის მხოლოდ ამ ინსტიტუტის მომწესრიგებელი რეგულაციებით უნდა მოწესრიგდეს, არ იქნება სწორი. თავად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის მე-3 ნაწილი განსაზღვრავს, რომ „უშუალოდ სტანდარტულ პირობებთან შედარებით მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება.“ შესაბამისად, თუ მხარეთა შორის წინასწარ შედგა შეთანხმება, რომ შემთავაზებელი იტოვებს უფლებას – უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე ხელშეკრულებაში განსაზღვრული საფუძვლის გარეშე და გაუმართლებლად, მასზე გავრცელდება არა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347-ე მუხლის „გ“ პუნქტი, არამედ 369-ე მუხლი, რადგან პირობა ინდივიდუალურადაა შეთანხმებული და ცდება სტანდარტული პირობების ჩარჩოებს. შესაბამისად, ეჭვს არ იწვევს, რომ შესრულებაზე უარის თქმის უფლება – განმტკიცებული როგორც ეროვნული, ისე უნიფიცირებული კანონმდებლობის საფუძველზე, დაუშვებელია შეიზღუდოს მხარეთა შეთანხმებით. მით უფრო, შემთავაზებელს ეკრძალება მსგავსი დებულების შეტანა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობაში და ბათილია, მიუხედავად იმისა, ინდივიდუალური შეთანხმების შედეგადაა ხელშეკრულებაში შეტანილი თუ ერთი მხარის მიერ მეორისთვის სტანდარტული პირობის სახითაა განსაზღვრული.

2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლების ბათილად ცნობა

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 348-ე მუხლის „ბ“ პუნქტი, გერმანიის

სამოქალაქო კოდექსის 309-ე პარაგრაფის მე-2 ნაწილის მსგავსად, ბათილად მიიჩნევს დებულებას, რომელიც უფლებას ანიჭებს შემთავაზებელს, უარი თქვას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე. აღნიშნული უკრძალავს მეორე მხარეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლით მინიჭებული – ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით სარგებლობას. კერძოდ, ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გარანტირებულია პირის უფლება, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე. ეს უკანასკნელი, შესაძლოა, რეალიზებულ იქნეს ერთ-ერთი საფუძვლის არსებობისას: ერთია მეორე მხარის მიერ თავისი ვალდებულების წინასწარ შეუსრულებლობა, ხოლო მეორე – იმ გარემოებათა არსებობა, რომლებიც ნათლად ადასტურებს, რომ წინასწარ შესრულება ვერ განხორციელდება დათქმულ ვადაში.⁶

ამ კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ თუ ხელშეკრულების მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის დამატებით განსაზღვრული ვადის (რომელსაც უთანაბრდება გაფრთხილება) გასვლის შემდეგ. ამასთან, შესრულებისათვის დამატებითი ვადის დაწესების თუ დამატებითი შესრულების მოთხოვნის რეალიზების წინაპირობაა, რომ ვალდებულების შესრულების ვადა მოსული იყოს.⁷ შესაბამისად, ორმხრივი ხელშეკრულების მხარეს უფლება აქვს, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ კი მეორე

გვ. 427. ციტირებულია: "Principles of International Commercial Contracts, Rom, 1994. Uniform Law review, 2004.

6 ძლიერიშვილი ზ., 2014. სახელშეკრულებო სამართალი. სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი გვ. 428

7 ძლიერიშვილი ზ., 2014. სახელშეკრულებო სამართალი. სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი გვ. 428. ციტირებულია: Münch Komm, BGB/Ernst, §323, Band 2. Schuldrecht Allgemeiner Teil, 5 Auflage, C.H.Beck, 2007

მხარე დათქმულ ვადაში არ ასრულებს თავის ვალდებულებას ან არსებობს გარემოებები, რომლებიც თვალნათლივ მოწმობს, რომ თავდაპირველი შესრულება დათქმულ დროში ვერ განხორციელდება. ასეთი გარემოებები წარმოადგენს შეფასების საგანს, რაც სასამართლოს კომპეტენციაა.⁸

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების „უნიდროას“ 7.1.5. მუხლი განსაზღვრავს, რომ ვალდებულების დარღვევისას დაზარალებულ მხარეს უფლება აქვს, დამრღვევს განუსაზღვროს დამატებითი ვადა ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის განმავლობაში მას შეუძლია თავი შეიკავოს საპასუხო შესრულებისგან, თუმცა ერთმევა უფლება, იმავდროულად მიმართოს სხვა ზომებს. თუ დამატებითი ვადის განმავლობაში დაზარალებული მიიღებს შეტყობინებას იმის თაობაზე, რომ დამრღვევი მაინც არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას ან ვადის გასვლის შემდეგ შესრულებას არ ექნება ადგილი, დაზარალებული უფლებამოსილი ხდება, მიმართოს კანონით გათვალისწინებულ დაცვის სხვა საშუალებებს. აღსანიშნავია, რომ წინამდებარე მუხლი იმპერატიულად მოითხოვს დამატებითი ვადის გონივრულ ხანგრძლივობას, რომ მხარეს რეალურად ჰქონდეს საშუალება, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. ამასთანავე, დაზარალებულს დამატებითი ვადის დანიშვნის შესახებ გაფრთხილებაში შეუძლია მიუთითოს, რომ თუკი ამ პერიოდშიც კვლავ არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, ხელშეკრულება ავტომატურად შეწყვეტილად ითვლება.

აღნიშნულის მთავარი მიზანია – ვალდებულება შესრულდეს. დამატებითი ვადის განსაზღვრა სწორედ იმას ემსახურება, რომ დაცული იყოს მხარის ინტერესი – მიიღოს თუნდაც დაგვიანებული შე-

სრულება, ვიდრე საერთოდ უშედეგოდ „მოუხდეს“ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის განწყვეტა. ამასთანავე, წინამდებარე რეგულაცია, ე.წ. დაზარალებულს უფლებას ანიჭებს, თავი შეიკავოს საპასუხო შესრულებისგან, ვიდრე მის მიმართ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას არ მიიღებს, თუნდაც დამატებითი ვადის ხარჯზე.

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებიც გვთავაზობს ანალოგიურ მიდგომას და იძლევა გარანტიას ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად. კერძოდ, 8:106 მუხლი განსაზღვრავს, რომ ვალდებულების დარღვევის ნებისმიერ შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მეორე მხარეს ვალდებულების შესრულების დამატებითი ვადა განუსაზღვროს და ამავდროულად, უარი განაცხადოს საპასუხო ვალდებულების შესრულებაზე.⁹ გარდა ამისა, 9:201 მუხლი ანიჭებს მხარეს უფლებას, უარი თქვას თავისი წილი ვალდებულების შესრულებაზე, სანამ მეორე მხარე ნაკისრ ვალდებულებას არ შეასრულებს. ასევე, შესაძლოა, მხარემ უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ მეორე დათქმულ ვადაში არ შეასრულებს ვალდებულებას.¹⁰

რაც შეეხება „Draft Common Frame of Reference“ DCFR¹¹ – ის მიდგომას აღნიშნული საკითხის მიმართ, მუხლი 3:401 ანიჭებს მხარეს უფლებას, თავი შეიკავოს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისგან საპასუხო შესრულების მიღებამდე. თუმცა, მას ასევე ეკისრება ვალდებულება, გააფრთხილოს მხარე ამის შესახებ.¹²

8 ძლიერიშვილი ზ., 2014. სახელშეკრულებო სამართალი. სახელმძღვანელო სამართლის სკოლებისთვის. გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი გვ. 430

9 ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები თარგმანი (დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2014 წ.) – მუხლი 8:106 „შეტყობინება ვალდებულების შესრულებისთვის დამატებითი ვადის განსაზღვრის შესახებ“.

10 ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, თარგმანი (დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2014 წ.) – მუხლი 9:201 „ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლება“.

11 Principles, Definitions and Model Rules of European Private Law-Draft Common Frame of Reference. DCFR

12 DCFR, III – 3:401: Right to withhold performance of

3. პირობის მიმღების უფლების დაცვის მექანიზმი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, ხელშეკრულების სტანდარტული პირობების ბათილობა ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევებზე, როდესაც მეორე მხარე არამენარმე ფიზიკური პირია. შესაბამისად, ისმევა საკითხი, თუ როგორ უნდა გადაწყდეს კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა მაშინ, როდესაც მხარეებად გამოდიან ორივე შემთხვევაში მენარმეები ან, პირიქით, ფიზიკური პირები. მართალია, მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა კონკრეტულად მსგავსი სიტუაციების მომწესრიგებელ რეგულაციებს, თუმცა ე.წ. DCFR პრინციპები გვთავაზობს ალტერნატივას და განსხვავებულად არეგულირებს აღნიშნული საკითხის გადაჭრის გზებს. სამართლებრივი რეგულაციის ხასიათი გამიჯნულია მხარეთა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით. ხშირად პრინციპების მკაცრი და იმპერატიული ხასიათი იკვეთება ისეთი ურთიერთობების მომწესრიგებელ დებულებებში, როცა მხარეს წარმოადგენს ფიზიკური პირი-მომხმარებელი. მაგალითად, აღნიშნულ დოკუმენტში დეკლარირებულია, რომ კონტროლის მექანიზმი ბევრად მკაცრია იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომელშიც მხარედ გამოდის ფიზიკური პირი და არა მენარმე¹³. ასევე, ერთმნიშვნელოვნადაა განსაზღვრული, რომ მენარმესა და მომხმარებელს შორის სამართლებრივი ურთიერთობების დროს მხარეებს არ ეძლევათ უფლება, გადაუხვიონ სპეციალურ წესებს მომხმარებლის საზიანოდ.¹⁴ ხელშეკრულების მხარის, მიუხედავად მისი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, დაცვის აუცილებლობაზე მიუთითებს ასევე 9:103, 9:405 მუხლებიც¹⁵. აღსანიშნავია, თუ სამომხმარებლო ხელშეკრულებებში დაცვის ერთგვარი ტესტი, ისევე როგორც ფიზიკურ პირებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების დროს, კეთისილნდისიერებისა და პირობების გამჭვირვალობაზე გადის, მენარმეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობისას მხარის დაცვის მექანიზმად შემოთავაზებულია სწორი (კარგი) კომერციული პრაქტიკაც.

ამავე პრინციპების 9:402 მუხლიც ეხება ინდივიდუალური შეთანხმების გარეშე განსაზღვრული პირობების გამჭვირვალობას:¹⁶ შემთავაზებელს ეკისრება ვალდებულება, პირობა ჩამოაყალიბოს მომხმარებლისთვის გასაგებ ენაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, დადება პირობის სამართლიანობის საკითხი მაშინ, როდესაც შემთავაზებელს აღნიშნული ვალდებულება არ ეკისრება, თუ კონტრაქტის მენარმეა. შესაბამისად, გამჭვირვალობის ხარისხიც დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ გამოდიან მხარეებად: ფიზიკური პირი, მომხმარებლები თუ მენარმეები.¹⁷ ცხადია, რომ შემთავაზებლის ვალდებულება გამჭვირვალობასთან დაკავშირებით განსხვავებული სიმძიმის მატარებელია.¹⁸

პრაქტიკაში შეფასებისას ყველაზე გონივრული იქნება, განისაზღვროს, დებულება, რომლის ბათილობის საკითხიც დგას, სტანდარტული პირობის სახითაა შეთავაზებული თუ ინდივიდუალურადაა შეთანხმებული. პირველ შემთხვევაში, თუ რეალურად განხორციელდა პირობის ბათილად ცნობა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347-348 მუხლებით განსაზღვრული რეგულაციები

ქმედებს ბაქარევილი

reciprocal obligation. P.863
 13 DCFR, p.52 the last sentence – (The DCFR contains controls which deal with similar problems in contracts between businesses, through the controls are of a more restictedkind than the consumer contracts)
 14 DCFR, p. 70the firstsentence (Often the protection takes the for mof recommending that, in a contract between a business and a consumer,it should not be possible for the parties to derogate from particular rules to the detrimen to the consumer).

15 DCFR, p. 70, the last sentence. Also 9:103; and 9:405: Meaning of “unfair” in contracts between business.
 16 DCFR 9:402 : Duty of transparency in terms not individually negotiated.
 17 DCFR 9:402 :Duty of transparency in terms not individually negotiated, p. 658, the last sentence.
 18 DCFR 9:402 :Duty of transparency in terms not individually negotiated, illustration 2, p. 659, the first article.

გავრცელდება მხოლოდ ფიზიკური პირების მიმართ. იმ შემთხვევაში კი, თუ დებულება ბათილი იქნება, მიუხედავად იმისა, სტანდარტულია თუ ინდივიდუალური მოლაპარაკების შედეგი, სამართლებრივი გარანტიები უნდა გავრცელდეს მენარმე კონტრაქტებზეც. სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, კანონმდებელი თანაბრად იცავს მხარეებს, მიუხედავად იმისა, რომ შემთავაზებელს უფრო მკაცრ რეგულაციებს უწესებს. ეს განპირობებულია იმით, რომ საშუალო მომხმარებელთა უმრავლესობამ არ იცის გარიგებასთან დაკავშირებული ზოგადი წესები, არ იცნობს კანონს, ვერ ახდენს ხელშეკრულებაში გაწერილი ნორმების სწორ ინტერპრეტაციას ან/და არ შეუძლია შეცვალოს შინაარსი (ტექსტი).¹⁹

ყურადსაღებია 1993 წლის 5 აპრილის 93/13/EEC დირექტივაც,²⁰ რომელიც გამყიდველს ან მიმწოდებელს და მომხმარებელს შორის დადებულ კონტრაქტებს ეხება. მომხმარებელი კი განმარტებულია, როგორც ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს მისი სავაჭრო ბიზნეს ან პროფესიულ მიზნებს მიღმა, ხოლო გამყიდველი და მიმწოდებელი – პირი, რომელიც მოქმედებს თავისი სავაჭრო ბიზნეს თუ პროფესიულ მიზნებთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, ერთმნიშვნელოვნად იკვეთება, რომ დირექტივა შემოსაზღვრავს თავისი მოქმედების სფეროს და იურისდიქციას ავრცელებს მხოლოდ სამომხმარებლო ურთიერთობებზე. მართალია, იგი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ნაბიჯია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში სახელშეკრულებო

სამართლის ჰარმონიზაციის გზაზე, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეფუძნება 1976 წლის გერმანიის კანონს „სტანდარტული ხელშეკრულების შესახებ“.²¹ მართალია, ეროვნული კანონმდებლობისთვის უცხო არაა აღნიშნული დირექტივის მთავარი პრინციპები და სულისკვეთება, თუმცა ფაქტია, რომ მიზნის მისაღწევად ჯერ კიდევ არაერთი საკითხია გადასაწყვეტი.

4. სტანდარტული პირობის ბათილობა, როგორც მთლიანად ხელშეკრულების ბათილობის საფუძველი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347–ე და 348–ე მუხლების მთავარი მიზანია, დაიცვას მიმღები შემთავაზებლის მიერ უპირატესობის გამოყენებისაგან. სწორედ ამიტომ კანონმდებელი გვთავაზობს დებულებებს, რომლებიც ბათილია ხელშეკრულებაში შეტანის შემთხვევაში, თუნდაც ისინი ინდივიდუალურად ყოფილიყო შეთანხმებული მხარეთა მიერ.

თუმცა, საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თურამდენად აისახება აღნიშნული დებულებების ბათილობა მთლიანად ხელშეკრულების ბედზე, შეინარჩუნებს იგი ძალას თუ მთლიანად გაუქმდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 62-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „გარიგების ნაწილის ბათილობა არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას, თუ სავარაუდოა, რომ გარიგება დაიდებოდა მისი ბათილი ნაწილის გარეშე“. იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს გარიგების ნაწილის ბათილობის განსაზღვრა, აუცილებლად უნდა არსებობდეს ერთიანი გარიგება, რომელიც რამდენიმე ნაწილისგან შედგება და შესაძლებელი უნდა იყოს ამ ნაწილების გამოცალკევება, ცალ-ცალკე განხილვა და იმის დადგენა, თუ რომელი ნაწილია ბათილი და შეუძლია თუ არა ამ ნაწილის

19 ჭანტურია ლ., 2001. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მესამე. ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი. გამომცემლობა სამართალი. თბილისი. გვ.181; ასევე, Council Directive 93/13/EEC of 5 April 1993 on unfair terms in consumer contracts

20 Council Directive 93/13/EEC of 5 April 1993 on unfair terms in consumer contracts, http://europa.eu/legislation_summaries/consumers/protection_of_consumers/132017_en.htm; <http://uk.practicallaw.com/3-508-2471?source=relatedcontent>

21 Gesetz zur Regelung des Rechts der Allgemeinen Geschäftsbedingungen (AGB-Gesetz) <http://www.gesetzesweb.de/AGB.html>

ბათილობას გამოიწვიოს მთლიანად გარიგების ბათილობა.²² ნაწილობრივ ბათილი გარიგების განხილვისას მნიშვნელოვანია არა მხოლოდ გარიგების მონაწილეთა ნება, არამედ ბათილი ნაწილის გამოცალკევებით მთლიანი გარიგების ნამდვილობის შენარჩუნების შესაძლებლობა.²³

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიდგომა თითქმის იდენტურია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 139-ე პარაგრაფისა, რომელიც განსაზღვრავს, რომ „თუ ბათილია გარიგების ნაწილი და თუ შეუძლებელია იმის დაშვება, რომ იგი დაიდებოდა ამ ბათილი ნაწილის გარეშე, მაშინ მთლიანად გარიგებაც ბათილია“. რეგულაციის თანახმად, მოცემული უნდა იყოს ერთიანი გარიგება. მხარეებს უნდა სურდეთ, რომ გარიგებები, რომლებიც შესაძლებელია გარეგნულად განცალკევებულია, უნდა შესრულდეს ან გაბათილდეს მთლიანად. თუმცა, ეროვნული კანონმდებლობა გერმანიისგან განსხვავებით ბევრად „კოზმითურ ფორმულირებას“²⁴ გვთავაზობს და გადამწყვეტია ის, რომ ბათილი ნაწილის გარეშეც გარიგებას შესწევს უნარი, წარმოშვას სამართლებრივი შედეგი. ამასთან, ეს შედეგი იმდენად მნიშვნელოვანი უნდა იყოს, რომ მისი მიღწევა ნების გამომვლენისათვის სასურველად ჩაითვალოს. შესაბამისად, სამართლებრივი წესრიგით უარყოფილია ნების გამოვლენის შედეგების მხოლოდ ის ნაწილი, რომლის შენარჩუნებაც შეუძლებელია გამოსწორებელი ხარვეზის გამო.²⁵

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347-348 მუხლები ე.წ. „დამცავი მუხლებია“.

22 ჭანტურია ლ., 2011. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო. გამომცემლობა სამართალი. თბილისი გვ. 390
23 ჭანტურია ლ., 2011. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო. გამომცემლობა სამართალი. თბილისი გვ. 391
24 კერესელიძე დ., 2009. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. გამომცემლობა ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი. თბილისი. გვ. 268
25 კერესელიძე დ., 2009. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები. გამომცემლობა ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტი. თბილისი. გვ. 268

ამიტომ გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ხელშემკვრელი მხარის- მიმღების ინტერესს, რადგან აღნიშნულ დებულებათა ბათილობის გამო მთლიანად ხელშეკრულების ბათილობა, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს მის უფლებრივ მდგომარეობაზე და უფრო მეტიც, ზიანი მიაყენოს იმ ინტერესებს, რომლებიც წინ უძღოდა ხელშეკრულების გაფორმებას. შესაბამისად, რთულია მკვეთრად განისაზღვროს, თუ სად გადის ზღვარი ბათილი დებულებების გამო ხელშეკრულების მთლიანად ბათილად ცნობისას, მხარეთა ინტერესების დაცვასა და ხელშეკრულების ნაწილის ძალის შენარჩუნების დროს მიმღების უფლებების დაცვას შორის.

რაც შეეხება ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებს, 15:103 მუხლი განსაზღვრავს, რომ ხელშეკრულების მხოლოდ ნაწილის ბათილობის შემთხვევაში დანარჩენი ნაწილი ნამდვილად მიიჩნევა, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ყველა გარემოების გათვალისწინებით, მისი ძალაში დატოვება არაგონივრული იქნება.²⁶ DCFR პრინციპების 1:108 მუხლი კი ადგენს, რომ როდესაც ხელშეკრულების მხოლოდ ერთი ნაწილია ბათილი, დარჩენილი ნაწილი ძალაში რჩება, თუკი მისი ძალის შენარჩუნება გონივრულია.²⁷ ამასთანავე, კომენტარებში განმარტებულია, რომ მიუხედავად ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობის საფუძვლისა, ხელშეკრულების დარჩენილი ნაწილი ინარჩუნებს სამართლებრივ ძალას, თუ გონივრულობის პრინციპიდან გამომდინარე, მხარეებს სურთ გააგრძელონ სამართლებრივი ურთიერთობა ბათილი დებულების გარეშე.²⁸

26 ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები, თარგმანი (დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2014 წ.) – მუხლი 15:103 ნაწილობრივი ბათილობა, გვ. 85
27 DCFR: II-1:108: Partial invalidity or ineffectiveness.
28 DCFR: II-1:108: Partial invalidity or ineffectiveness, comments, p. 203

დასკვნა

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული კანონმდებლობა ცდილობს, დაიცვას ბალანსი მხარეთა ინტერესებს შორის და მეტ-ნაკლებად თანაბრად შემოგვთავაზოს დაცვის გარანტიები. მართალია, 93/13/EEC ევროდირექტივის მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347-ე მუხლის „გ“ პუნქტი – „ხელშეკრულებაზე უარის თქმის პირობა“ და 348-ე მუხლის „ბ“ პუნქტი – „შესრულებაზე უარის თქმის უფლება“ მიიჩნევა ბათილად შემთავაზებლის მიერ ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობის სახით ჩართვისას, როდესაც მხარეებზე გამოდიან შემთავაზებელი – მენარმე და მიმღები ფიზიკური პირი, თუმცა, DSFR პრინციპები ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც მხარეებს წარმოადგენენ მხოლოდ ფიზიკური პირები ან მხოლოდ მენარმეები.

შესაბამისად, სამართლებრივი შედეგი, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ბათილობით, უნდა აისახოს იმ ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებზეც, რომლებშიც არა მხოლოდ მომხმარებელი ანუ ფიზიკური პირია შემთავაზების მიმღები. მით უფრო, თუ აღმოჩნდა, რომ სადავო პირობა სცდება სტანდარტული პირობების ჩარჩოებს და ავტომატურად ექცევა კოდექსის სხვა რეგულაციების ზემოქმედების ქვეშ.

სწორედ ამიტომ სასამართლოს პრეროგატივაა, ყოველი კონკრეტული შემთხვევის დეტალური ანალიზისას განსაზღვროს, სადავო დებულება სტანდარტული პირობის სახითაა შეთავაზებული და მასზე უნდა გავრცელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 347-ე და 348-ე მუხლების რეგულაციები თუ მხარეთა მიერ ინდივიდუალური მოლაპარაკების შედეგადაა ხელშეკრულებაში შეტანილი და მის მიმართ გამოიყენოს შესაბამისი მომწესრიგებელი მუხლები. ასევე, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, თუ რამდენად აისახება ხელშეკრულების სტანდარტული პირობის ამ დებულებათა ბათილობის შედეგები მთლიანად ხელშეკრულების სამართლებრივ ძალაზე, რომ ე.წ. „დამცავი“ ნორმის მთავარი მიზანი არ შემობრუნდეს მიმღების საწინააღმდეგოდ.

მართალია, ეროვნული საკანონმდებლო რეგულაციები მეტ-ნაკლებად უახლოვდება საერთაშორისო უნიფიცირებულ წესებს, თუმცა პრაქტიკაში კვლავ თავს იჩენს პრობლემები, რომლებიც ხშირად, შესაძლოა, სასამართლოს მიერ კანონის არასწორი ინტერპრეტაციის ბრალიც იყოს. ამიტომ აუცილებელია, არსებული კანონმდებლობის სწორი განმარტება და ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს მხარეთა ინტერესებს შორის ბალანსის დაცვას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კროპჰოლერი ი., 2014. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარები, თბილისი.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702>
3. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი. https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/german_civil_code.pdf

ANNULMENT OF THE STANDARD TERMS OF AN AGREEMENT SUCH AS THE RIGHT TO TERMINATE AGREEMENT AND ABNEGATION OF EXECUTION

Ketevan Zakareishvili

PHD student, East European University

KEY WORDS: annulment, result, balance

RESUME

Annulment of the standard conditions of agreement such as a right to terminate agreement and abnegation of its execution is one of the actual problems for issuance of legal result considered by standard agreement.

For the resolution of the issue, it is important to evaluate the influence of Article 347-348 of Georgian Civil Code on the interdependence of standard or individually agreed conditions. One of the main identification factor for annulment of the respective clause is related to an issue of which resolution has to be considered for the solution of disputed condition.

It is reasonable to use international unified regulations and principles on the base of proper analysis in order to study and reveal the gaps of existing law and to conduct them in practice. Such approach has to provide step forward to keep the legal balance of litigants.

NOTES:

1. See also, German Civil Code (BGB) Section 308, 3: (Reservation of the right to withdraw) the agreement of a right of the user to free himself from his obligation to perform without any objectively justified reason indicated in the contract; this does not apply to continuing obligations. (In Georgian)
2. The principles of European Contract Law (prepared by the Commission on European Contract Law 1999 text in English) Article 9:305 Effects of Termination in General. (In Georgian)
3. Available: <http://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010> (In English)
4. Dzierishvili Z., 2014. Contract Law. Guidelines for law schools. Publishing Meridiani, Tbilisi, p. 427. Cited: "Principles of International Commercial Contracts, Rome, 1994. Uniform Law Review, 2004. (In Georgian)
5. Dzierishvili Z., 2014. Contract Law. Guidelines for law schools. Publishing Meridiani, Tbilisi, p. 427. Cited: "Principles of International Commercial Contracts, Rome, 1994. Uniform Law Review, 2004. (In Georgian)
6. Dzierishvili Z., 2014. Contract Law. Guidelines for law schools. Publishing Meridiani, Tbilisi, p. 428 (In Georgian)
7. Dzierishvili Z., 2014. Contract Law. Guidelines for law schools. Publishing Meridiani, Tbilisi, p. 428. Cited: Münch Komm, BGB/Ernst, §323, Band 2. Schuldrecht Allgemeiner Teil, 5 Auflage, C.H.Beck, 2007 (In Georgian)
8. Dzierishvili Z., 2014. Contract Law. Guidelines for law schools. Publishing Meridiani, Tbilisi, p. 430 (In Georgian)
9. The principles of European Contract Law (prepared by the Commission on European Contract Law 1999 text in English) – Article 8:106 Notice Fixing Additional period for Performance. (In Georgian)
10. The principles of European Contract Law (prepared by the Commission on European Contract Law 1999 text in English) – Article 9:201 Right to Withhold Performance. (In Georgian)
11. Principles, Definitions and Model Rules of European Private Law-Draft Common Frame of Reference.DCFR (In English)
12. DCFR, III – 3:401: Right to withhold performance of reciprocal obligation. P.863 (In English)
13. DCFR, p.52 the last sentence – (The DCFR contains controls which deal with similar problems in contracts between businesses, through the controls are of a more restricted kind than the consumer contracts) (In English)
14. DCFR, p. 70 the first sentence (Often the protection takes the form of recommending that, in a contract between a business and a consumer, it should not be possible for the parties to derogate from particular rules to the detriment of the consumer). (In English)
15. DCFR, p. 70, the last sentence. Also 9:103; and 9:405: Meaning of "unfair" in contracts between business. (In English)
16. DCFR 9:402: Duty of transparency in terms not individually negotiated. (In English)
17. DCFR 9:402: Duty of transparency in terms not individually negotiated, p. 658, the last sentence. (In English)
18. DCFR 9:402: Duty of transparency in terms not individually negotiated, illustration 2, p. 659, the first article. (In English)

19. Chanturia L., The Civil Code of 2001. comments,. The third book. Contract Law, General Part. Publishing Law. Tbilisi. P.181. (In Georgian) Also, Council Directive 93/13/EEC of 5 April 1993 on unfair terms in consumer contracts.(In English)
20. Council Directive 93/13/EEC of 5 April 1993 on unfair terms in consumer contracts, http://europa.eu/legislation_summaries/consumers/protection_of_consumers/l32017_en.htm; <http://uk.practicallaw.com/3-508-2471?source=relatedcontent> (In English)
21. Gesetz zur Regelung des Rechts der Allgemeinen Geschäftsbedingungen (AGB-Gesetz) <http://www.gesetzesweb.de/AGB.html> (In English)
22. Chanturia L., 2011. The general part of civil law, the manual. Publishing Law. Tbilisi. P.390 (In Georgian)
23. Chanturia L., 2011. The general part of civil law, the manual. Publishing Law. Tbilisi. P.391 (In Georgian)
24. Kereselidze D., 2009. The most general system of private law concepts. European and Comparative Law Publishing Institute. Tbilisi. P.268 (In Georgian)
25. Kereselidze D., 2009. The most general system of private law concepts. European and Comparative Law Publishing Institute. Tbilisi. P.268 (In Georgian)
26. The principles of European Contract Law (prepared by the Commission on European Contract Law 1999 text in English) – Article 15:103 . (In Georgian)
27. DCFR: II-1:108: Partial invalidity or ineffectiveness. (In English)
28. DCFR: II-1:108: Partial invalidity or ineffectiveness, comments, p. 203. (In English)

BIBLIOGRAPHY:

1. Kropholer I., 2014. German Civil Code. Training comment. Publishing GIZ, IRZ. Tbilisi. (In Georgian)
2. The Civil Code of Georgia – <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702> (In Georgian)
3. German Civil Code (BGB) – https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/german_civil_code.pdf (In English)